www.rusi.org

RUSI

კონფერენციის ანგარიში

Euro SIFMANet: ევროპული სანქციებისა და უკანონო ფინანსური ოპერაციების მონიტორინგისა და ანალიზის ქსელის ანგარიში თბილისიდან

ტომ კიტინგი და გონსალო საიზი

კონფერენციის ანგარიში

თავდაცვისა და უსაფრთხოების თემების ირგვლივ დამოუკიდებელი მსჯელობის 192 წელი

გაერთიანებული სამეფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კვლევების გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტი (RUSI) მსოფლიოს უძველესი და დიდი ბრიტანეთის წამყვანი კვლევითი ინსტიტუტია თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში. მისი მისიაა ინფორმირება, გავლენის მოხდენა და საჯარო დისკუსიების წახალისება უფრო უსაფრთხო და სტაბილური მსოფლიოს თაობაზე. RUSI-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულება კვლევა და მიგნებებზე დაფუძნებული, ობიექტური და ინოვაციური ანალიზის შეთავაზებაა დღევანდელობის კომპლექსურ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით.

ორგანიზაცია 1831 წელს დაარსდა და ამ დროიდან მოყოლებული, მისი საქმიანობის ძირითადი დასაყრდენი მისივე წევრებია. სწორედ მათი მხარდაჭერითა და ასევე, კვლევის, საგამომცემლო საქმიანობისა და კონფერენციების ორგანიზებიდან მიღებული შემოსავლის მეშვეობით ორგანიზაცია დაარსებიდან 192 წლის შემდეგაც ინარჩუნებს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს RUSI-ს ან სხვა რომელიმე ორგანიზაციის თვალსაზრისს.

გამოქვეყნებულია 2023 წელს თავდაცვისა და უსაფრთხოების კვლევების გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტის მიერ.

© RUSI, 2023

This work is licensed under a Creative Commons Attribution – Non-Commercial – No-Derivatives 4.0 International Licence. დამატებითი ინფორმაციისთვის გადადით ბმულზე: <http://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/4.0/>.

RUSI: თემატური ანგარიში, 2023 წლის ივნისი.

ტექსტი ინგლისურიდან ქართულად თარგმნა ნათია ნადირაძემ, მარტი 2024.

Royal United Services Institute
for Defence and Security Studies
Whitehall
ლონდონი SW1A 2ET
დიდი ბრიტანეთი
+44 (0)20 7747 2600
www.rusi.org
რეგისტრაციის ნომერი: No. 210639

საქართველო, რუსეთის მეზობლად მდებარე და ევროკავშირში გაწევრიანების ამბიციის მქონე ქვეყანა, მძიმე გეოპოლიტიკურ სიტუაციაშია. თბილისისთვის სერიოზულ საკითხს წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნებისა და მათი პარტნიორების მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციები.

საქართველოსგან, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნისგან მოლოდინია, რომ მისი გადაწყვეტილებები თანხვედრაში იქნება ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან, რომლის ფარგლებში რუსეთის წინააღმდეგ არაერთი სანქცია იქნა დაწესებული.[1] თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიების 20% - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, საქართველო ბალანსის დაცვის გამოწვევის წინაშე დგას. ერთი მხრივ, ქვეყანა უკრაინისადმი სოლიდარულია ოკუპაციის ფაქტორის გათვალისწინებით, ხოლო მეორე მხრივ, მას სურს თავიდან აიცილოს იმგვარი ნაბიჯების გადადგმა, რომელმაც შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის რისკი.

2023 წლის ნოემბერში, RUSI-ს ფინანსური დანაშულისა და უსაფრთხოების კვლევის ცენტრმა, უსაფრთხოების კვლევების რეგიონულ ინსტიტუტთან (RISS) თანამშრომლობით, თბილისში გამართა მრგვალი მაგიდის დისკუსიების ციკლი, რომელსაც საქართველოს საჯარო სექტორის წარმომადგენლების გარდა კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. განხილვები მიზნად ისახავდა საქართველოს პოზიციის უკეთ გაგებას რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებთან დაკავშირებით და აგრეთვე, რუსეთის მიერ სანქციების გვერდის ავლისა და არიდების პრევენციის მიმართულებით საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯების გაანალიზებას. ხსენებული დისკუსიების ციკლი ევროპული სანქციებისა და უკანონო ფინანსური ოპერაციების მონიტორინგისა და ანალიზის ქსელის (SIFMANet) პროექტის ფარგლებში დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED) მხარდაჭერით გაიმართა.

1. European Commission, ‘Commission Staff Working Document: Georgia 2023 Report Accompanying the Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions’ [კომისიის სამუშაო დოკუმენტი: საქართველოს შესახებ 2023 წლის ანგარიში, რომელიც თან ახლავს კომისიასა და ევროპარლამენტს, საბჭოსა და ევროპის ეკონომიკისა და სოციალური კომიტეტის, ასევე რეგიონების შესახებ კომიტეტს შორის კომუნიკაციას], SWD(2023) 697 საბოლოო, 8 ნოემბერი 2023, <https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf>, ბოლოს ნანახია: 3 დეკემბერი 2023.

საქართველოს მიდგომა რუსეთზე დაკისრებული ფინანსური სანქციების მიმართ

2022 წლის 25 თებერვალს, საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ ქვეყანა არ შეუერთდებოდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს.[2] სინამდვილეში, თბილისის დამოკიდებულება სანქციების მიმართ ბევრად კომპლექსურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან თანხვედრაში ყოფნა მნიშვნელოვანია საქართველოს კანდიდატის სტატუსისთვის და გარდა ამისა, ქვეყნის კავშირები გლობალურ ბაზრებთან და შუამავალ ბანკებთან თავისთავად ავალდებულებს საქართველოს, თანხვედრაში იყოს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ზომებთან. ამ პირობებში, დამატებითი კანონის შემოღების გარეშე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მითითება მისცა ქვეყნის საბანკო სექტორს, დაემორჩილოს ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის მიერ დაწესებულ სანქციებს.[3] საქართველოს ეროვნულ ბანკში მოქმდებს ფულის გათეთრებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ სანქციების საკითხებთან დაკავშირებით ბანკებთან აწარმოებს კომუნიკაციას და შესაბამის ინსპექციას ატარებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენელმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ქვეყანამ დამატებითი რესურსები გამოყო სანქციების აღსრულების უზრუნველყოფის მიმართულებით და სწორედ ახლა ხდება პროგრამების შემუშავება აღსრულების მონიტორინგის მიმართულებით. ეროვნული ბანკის წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ ბანკისთვის ცნობილია იმ კომპლექსური წესებისა და ლიცენზიების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სანქცირებული საქონლისა და მომსახურების მონიტორინგთან. ბანკს ასევე კარგად ესმის, თუ რა ხარჯებთან არის დაკავშირებული კერძო სექტორისთვის სანქიციების მოთხოვნების შესრულება. კომპანიები ხშირად მიმართავენ ეროვნულ ბანკს დახმარებისთვის, თუმცა, ეს უკანასკნელი სერიოზული გამოწვევის წინაშე დგება, როდესაც საქმე ეხება კერძო სექტორის წარმომადგენლების შეკითხვებს იმ საერთაშორისო სანქციების რეჟიმებთან დაკავშირებით, რომლებზეც ბანკს არც არანაირი ბერკეტი არ გააჩნია და არც იმაზე მეტ ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი, რაც შესაბამის ვებგვერდებზეა განთავსებული. ამ მიზეზის გამო, ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება სწორი მიმართულებით გაუძღვეს ქვეყნის კერძო სექტორს

2. Joshua Kucera, ‘Georgia Says It Won’t Join International Sanctions Against Russia’ [ჯოშუა კუჩერა, „საქართველო ამბობს, რომ ის არ შეუერთდება რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებს“], Eurasianet, 25 თებერვალი 2022, <https://eurasianet.org/georgia-says-it-wont-join-international-sanctions-against-russia>, ბოლოს ნანახია: 26 ნოემბერი 2023.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი, „ინფორმაცია საბანკო სექტორში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით“, 27 თებერვალი 2022, <https://nbg.gov.ge/media/news/ინფორმაცია-საბანკო-სექტორში-დაგეგმილ-ცვლილებებთან-დაკავშირებით>, ბოლოს ნანახია: 26 ნოემბერი 2023.

და ამავე დროს, ფინანსურ ინსტიტუტებს აცნობოს, რომ მათ თავად უნდა შეაფასონ საკუთარი რისკები.

საქართველოს საბანკო ასოციაციის წარმომადგენელმა კმაყოფილება გამოთქვა სანქციებთან დაკავშირებით ქვეყნის საბანკო სექტორის მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე, უფრო კონკრეტულად კი, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და სანქცირების არსებული პროცედურების შესახებ. თუმცა, წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში მოქმედი რამდენიმე ბანკი გაწევრიანებულია რეგიონულ საბანკო ჯგუფებში ისეთ ქვეყნებში, რომლებიც არ აღასრულებენ სანქციებს. ამ ქვეყნებს შორისაა, თურქეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი. ეს გარემოება გარკვეული რისკების შემცველია. საბანკო ასოციაციის წარმომადგენელმა დაამატა, რომ რუსეთის ბანკების VISA-სა და Mastercard-ის საქართველოში მომსახურება შეჩერებულია საერთაშორისო სანქციების მოთხოვნების შესაბამისად.[4]

საქართველოს ბანკის წარმომადგენელმაც განაცხადა, რომ ბანკისთვის რუსი კლიენტები და შესაბამისად, რუსეთთან დაკავშირებული ტრანზაქციები მომეტებული რისკის მატარებელია და შესაბამისად, მათთან დაკავშირებით ბანკში შემოწმების გამკაცრებული ზომები მოქმედებს.[5] საქართველოს ბანკი, ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ბანკია, რომლის მომხმარებელთა რაოდენობა 2.5 მილიონს აღწევს და ლონდონის საფონდო ბირჟაზე ირიცხება. შესაბამისად, მასზე დიდი ბრიტანეთის ფინანსური საქმიანობის მარეგულირებელი უწყების (Financial Conduct Authority) ზედამხედველობა ვრცელდება,[6] რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ბანკი ვალდებულია დაემორჩილოს დიდი ბრიტანეთის (და ფართო საერთაშორისო) სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. საქართველოს ბანკს, ამჟამად, ორი თანადირექტორი ჰყავს. ერთი მათგანი ზოგადი ხასიათის ფინანსური დანაშაულის პრევენციისა და რეაგირების მიმართულებას ხელმძღვანელობს, ხოლო მეორე სანქციების პროგრამების განხორციელებას კურირებს მონიტორინგის დეპარტამენტისა და 80 თანამშრომლის მეშვეობით, რომლებიც '"დაცვის მეორე ხაზს" ქმნიან.[7]

ამ ფონზე, საქართველოში გაიზარდა საეჭვო ტრანზაქციების შეტყობინების მაჩვენებელი. მონაწილეების თქმით, ფინანსურმა სექტორმა გააფართოვა

4. Natia Taktakishvili, 'Shopping Facilities Not To Serve Russian VISA And Mastercards In Georgia - Banking Association of Georgia' [ნათია თაქთაქიშვილი, „საქართველოს სავაჭრო ობიექტები არ მიიღებენ რუსული ბანკების VISA-სა და Mastercard-s"] Business Media, 7 მარტი 2022, <https://bm.ge/en/news/shopping-facilities-not-to-serve-russian-visa-and-mastercards-in-georgia---banking-association-of-georgia/103741>, ბოლოს ნანახია: 27 ნოემბერი 2023.
5. საქართველოს ბანკი, Group PLC, 'Bank of Georgia Group PLC: 2Q23 & 1H23 Results' [საქართველოს ბანკი, PLC ჯგუფი, 2023 წლის მე-2 კვარტლის შედეგები" , <https://bankofgeorgiagroup.com/storage/toolkit/Bank%20of%20Georgia%20Group%20PLC%202Q23%20and%201H23%20Results.pdf>, ბოლოს ნანახია: 27 ნოემბერი 2023.
6. Financial Conduct Authorityარეგულირებს დიდი ბრიტანეთის ფინანსური მომსახურების სფეროს.
7. თავდაცვის მეორე ხაზი ფინანსურ ინსტიტუციებში წარმოდგენილია შესრულების დეპარტამენტებით, რომლებიც პროაქტიულად ახორციელებს შესაბამის ინსტიტუციებში რისკების მართვის მონიტორინგს და უზრუნველყოფს ოპერაციების შესაბამისობას დადგენილ წესებსა და რეგულაციებთან.

მაღალი რისკის შემცველი აქტივობების ჩამონათვალი ისეთი კომპონენტებით, როგორიცაა, საერთაშორისო ტრანზაქციები, ტრანზაქციები აშშ დოლარში, მნიშვნელოვანი ქონების მფლობელი პირები, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან სანქციების გვერდის ავლაში. საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საერთაშორისო სანქციების დარღვევის პრევენციის მიმართულებით. მაგალითად, ქალაქ თბილისის მერიამ გაწყვიტა თითქმის 50 მილიონი დოლარის ღირებულების შეთანხმება თბილისის მეტროსთვის 44 მატარებლის შესყიდვის თაობაზე ევროკავშირის მიერ დასანქცირებული მეტროვაგონმაშისგან.[8] კერძო სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კომპანიები საქმეს არ დაიჭერენ აშკარად საეჭვო რეპუტაციის მქონე კომპანიებთან, თუმცა განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს ეგრეთ წოდებული „ყვითელი დროშით“ აღნიშნული კომპანიები. საერთაშორისო სანქციების შესრულების უზრუნველსაყოფად, შუამავალი ბანკები ახლა უკვე სთხოვენ ქართულ ბანკებს ინფორმაციას ტრანზაქციების მონიტორინგისა და განგაშის ავტომატიზებული სისტემების, ცრუ განგაშის პროცენტული წილისა და უარყოფილი ტრანზაქციების რაოდენობის, ასევე, ამ პროცედურების ეფექტიანად შესრულებისთვის გამოყოფილი რესურსების შესახებ.

8. Railway Supply, ‘The Tbilisi City Hall Will Not Have to Pay for the Termination of the Contract with Metrowagonmash’ [თბილისის მერიას არ მოუწევს „მეტროვაგონმაშთან“ კონტრაქტის შეწყვეტისთვის კომპენსაციის გადახდა“] 30 მაისი 2023, <https://www.railway.supply/en/merii-tbilisi-ne-pridetsya-platit-za-rastorzhenie-kontrakta-s-metrovagonmash/>, ბოლოს ნანახია: 28 ნოემბერი 2023.

როდესაც სანქციები სახლის კარზე აკაკუნებს: ოთარ ფარცხალაძის შემთხვევა

სამუშაო შეხვედრის არაერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების საქმე უკიდურესად პოლიტიზებულია. ამის ყველაზე ნათელი დადასტურება საქართველოს მოქალაქის, ბიზნესმენისა და ყოფილი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის საქმეა. ფარცხალაძის წინააღმდეგ სანქციები აშშ-მა 2023 წლის სექტემბერში შემოიღეს.

ფარცხალაძე და ორი კომპანია, რომლებშიც ფარცხალაძე წილების უმეტესობას ფლობს, საქართველოში რუსული ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის მიერ რუსეთის სასარგებლოდ მავნე გავლენის ხელის შეწყობისთვის დასანქცირდა. გარდა ამისა, მიჩნეულია, რომ ფარცხალაძე პირად სარგებელსაც იღებს რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურთან ("ეფესბე") კავშირების წყალობით. [9]

2023 წლის ივნისში, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა ექსპერტების შეფასებით მნიშვნელოვნად შეზღუდავდა საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას, დაინიშნა ახალი მმართველი.[10] ახალმა მმართველმა, ნათია თურნავამ, რომელიც მოვალეობის შესრულებას ფარცხალაძის გადადგომის შემდეგ შეუდგა, აღმასრულებელი ბრძანებით ცვლილებები შეიტანა სანქციების აღსრულების წესში. კერძოდ, სანქციათა რეჟიმი ვრცელდება საქართველოს მოქალაქეზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ დაწესებულ სანქციებთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენია გამოტანილი.[11] ბრძანების შედეგად შეიცვალა საქართველოს ეროვნული ბანკის მანამდე გაცხადებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის ბანკებს უნდა აღესრულებინათ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები.

ამ გადაწყვეტილების სხვა შედეგებთან ერთად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეაჩერა მისი პროგრამა საქართველოში, ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით გაჩენილი შეშფოთების გამო. [12]

---

9. US State Department, Fact Sheet, 'Imposing Further Sanctions in Response to Russia's Illegal War Against Ukraine' [ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, ფაქტები: „უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის უკანონო ომის საპასუხოდ შემდგომი სანქციების შემოღება"] წარმომადგენლის ოფისი, 14 სექტემბერი 2023, <https://www.state.gov/imposing-further-sanctions-in-response-to-russias-illegal-war-against-ukraine/>, ბოლოს ნანახია: 2 დეკემბერი 2023
10. Civil Georgia, „ეროვნული ბანკის საბჭომ ნათია თურნავა პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩია", 23 ივნისი 2023, <https://civil.ge/ka/archives/549554> , ბოლოს ნანახია: 2 დეკემბერი 2023.
11. გიორგი ლომსაძე, 'Georgian Banks' Dilemma: To Sanction or Not to Sanction' [ქართული ბანკების დილემა: შემოვიღოთ თუ არ შემოვიღოთ სანქციები"], Eurasianet, 13 ოქტომბერი 2023, <https://eurasianet.org/georgian-banks-dilemma-to-sanction-or-not-to-sanction>, ბოლოს ნანახია: 2 დეკემბერი 2023.
12. Daniel Hinge, 'IMF Holds Georgia Deal over Central Bank and Sanctions Unease' [„საერთაშორისო სავალუტო ბანკი დროებით წყვეტს შეთანხმებას საქართველოსთან ცენტრალური ბანკისა და სანქციების ირგვლივ განვითარებული მოვლენების გამო"], Central Banking, 3 ოქტომბერი 2023, <https://www.centralbanking.com/central-banks/governance/7959881/imf-holds-georgia-deal-over-central-bank-and-sanctions-unease>, ბოლოს ნანახია: 2 დეკემბერი 2023.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საფინანსო სექტორი ემორჩილება საერთაშორისო სანქციებს, რუსეთთან ვაჭრობის ტენდენცია სტაბილურად მზარდია,[13] რაც სერიოზულ პრობლემებს ქმნის რუსეთის მიერ საქართველოს მეშვეობით სანქციების გვერდის ავლის თვალსაზრისით. დოკუმენტის მომდევნო ნაწილი სწორედ სავაჭრო შეზღუდვების მხრივ არსებულ მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას და ამ საკითხებს სამუშაო შეხვედრის მონაწილეების პერსპექტივიდანაც განიხილავს.

საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობის შეზღუდვა

რუსეთი საქართველოს რიგით მესამე ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნრიორია: ქართული ექსპორტის 11.1% რუსეთში შედის.[14] საქართველომ მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი რუსეთის წინააღმდეგ სავაჭრო სანქციებს არ გაატარებს.[15]

თუმცა, ამავდროულად, საქართველოს ხელისუფლება ხაზს უსვამს, რომ საქართველო რეგიონში ევროკავშირის და აშშ-ის მთავარი პარტნიორია. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ერთიანი ბაზარი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია, მისი წილი თანდათანობით იკლებს.[16] ქართულ კომპანიებს კარგად ესმით ევროკავშირის ბაზრის მნიშვნელობა და მოტივირებულებიც არიან განამტკიცონ სავაჭრო ურთიერთობები. მაგრამ ამისთვის მათ ევროკავშირის მხარდაჭერა სჭირდებათ ქვეყანაში ინვესტიციების მხარდაჭერისთვის, რაც რუსეთისგან ჩახსნას ემსახურება.

მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ მიწოდების ჯაჭვის მონიტორინგთან დაკავშირებული სიძნელეები შეუძლებელს ხდის საერთაშორისო პარტნრიორებისთვის სანქციების თავიდან არიდების ფაქტების ცალმხრივად გამოვლენას. უწყებების წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს მთავრობის მიერ საერთაშორისო პარტნიორების დასახმარებლად გამოყოფილ რესურსებს,

13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში: 2023 წლის იანვარი-სექტემბერი (წინასწარი შედეგები),“19 ოქტომბერი 2023 <https://www.geostat.ge/media/57518/საქართველოს-საგარეო-ვაჭრობა---2023-წლის-იანვარი-სექტემბერი.pdf>, ბოლოს ნანახია: 30 ნოემბერი 2023.
14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში: 2023 წლის იანვარი-სექტემბერი (წინასწარი შედეგები),“19 ოქტომბერი 2023 <https://www.geostat.ge/media/57518/საქართველოს-საგარეო-ვაჭრობა---2023-წლის-იანვარი-სექტემბერი.pdf>, ბოლოს ნანახია: 30 ნოემბერი 2023.
15. კუჩერა, „საქართველო ამბობს, რომ ის არ შეუერთდება რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებს“
16. European Commission, ‘Commission Staff Working Document: Georgia 2023 Report Accompanying the Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions’ [კომისიის სამუშაო დოკუმენტი: საქართველოს შესახებ 2023 წლის ანგარიში, რომელიც თან ახლავს კომისიასა და ევროპარლამენტს, საბჭოსა და ევროპის ეკონომიკისა და სოციალური კომიტეტის, ასევე რეგიონების შესახებ კომიტეტს შორის კომუნიკაციას], SWD(2023) 697 საბოლოო, 8 ნოემბერი 2023, <https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf>, ბოლოს ნანახია: 3 დეკემბერი 2023.

განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება 45 განსაკუთრებით საყურადღებო საგანს,[17] და ასევე განაცხადეს, რომ მსჯელობა მეორადი სანქციების შესახებ მათთვის იმედისგამაცრუებელია. მათი თქმით, სანქციების ყველა ჩამონათვალის შესრულების მონიტორინგის დამოუკიდებლად განხორციელების ხარჯების გათვალისწინებით, სასურველია თუ მათ მიაწოდებენ საერთაშორისო კოალიციის სანქციების კონსოლიდებულ სიას.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილე სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლების თქმით, დასაწყისიდანვე, საქართველომ შეატყობინა მის საერთაშორისო პარტნიორებს, რომ იგი დაეხმარებოდა მათ რუსეთის მიერ სანქციების გვერდის ავლის პრევენციაში. მათი განცხადებით მათი შესაძლებლობების ნახევარი სანქციების განხორციელებისკენ, რუსეთისკენ მიმავალი ევროკავშირში წარმოებული აკრძალული საქონლისა და ამ პროცესში ჩართული მხარეების იდენტიფიცირებისკენაა მიმართული. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ევროკავშირთან სავაჭრო საზღვრების ჩაკეტვამ ბალტიის ქვეყნების გავლით, ტრანზიტს გეზი უცვალა და ახლა მისი მნიშნველოვანი ნაწილი საქართველოზე გადის.

რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების შემოღების ცალმხრივი ეფექტია ის, რომ საქართველო გადაიქცა ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატებიდან ავტომობილების რეექსპორტის რეგიონულ ჰაბად. აქედან გამომდინარე, როგორც ბრიუსელმა, ასევე ვაშინგტონმა მოითხოვა, რომ საქართველოს შეეწყვიტა ვაჭრობა რუსეთთან. 2023 წლის აგვისტოში საქართველომ აკრძალა დასავლეთში წარმოებული ავტომობიილების რუსეთში რეექსპორტი.[18] თუმცა, სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ამ აკრძალვის შედეგად შეიქმნა კიდევ ერთი დამატებითი შრე სანქციების გვერდის ავლის მარშრუტში. საქართველო კვლავაც რჩება მიწოდების ჯაჭვში, თუმცა ახლა ავტომობილები ჯერ ყაზახეთში იგზავნება და შემდეგ ხდება მათი შეტანა რუსეთში მიუხედავად იმისა, რომ გაყიდვის პროცესში ცდილობენ საბოლოო მომხმარებლის იდენტიფიცირებას. ავტომობილების სათადარიგო ნაწილების ექსპორტის კონტროლი მათი ორმხრივი მოხმარების ბუნებიდან გამომდინარე უფრო რთულია. სათადარიგო ნაწილების ექსპორტისთვის, საბაჟო სამსახური ითხოვს მწარმოებლის ოფიციალურ წერილს, სადაც მითითებული იქნება ამ ნაწილების საბოლოო დანიშნულების ადგილი და აღწერილი იქნება მათი მოხმარების მიზნობრიობა.

17. European Commission, 'List of Common High Priority Items [ევროკომისია, „საერთო მაღალი პრიორიტეტის ნივთების/ტექნოლოგიების ჩამონათვალი" (2023 წლის სექტემბრის ვერსია)', 22 სექტემბერი 2023, <https://finance.ec.europa.eu/publications/list-common-high-priority-items_en>, ბოლოს ნანახია: 29 ნოემბერი 2023.
18. Giorgi Kobaladze, 'Gruziya zapretila eksport i reeksport avtomobiley SSA i ES v Rossiyu' [გიორგი კობალაძე, „საქართველო კრძალავს აშშ-სა და ევროკავშირიდან იმპორტირებული ავტომობილების ექსპორტსა და რე-ექსპორტს რუსეთსა და ბელარუსში"] Georgia Bans Export, Re-Export of Cars From US, EU Cars to Russia and Belarus'], *Radio Free Europe / Radio Liberty*, 3 აგვისტო 2023, <https://www.svoboda.org/a/gruziya-zapretila-eksport-i-reeksport-avtomobiley-ssha-i-es-v-rossiyu/32532546.html>, ბოლოს ნანახია: 26 ნოემბერი 2023.

ზოგადად, მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშე აღმოჩნდა საქართველო, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სავაჭრო პარტნიორის ამპლუაში. ეკონომიკური კავშირი წარმოადგენს მექანიზმს, რომელსაც რუსეთი აქტიურად იყენებს სავაჭრო დინებების საბოლოო დანიშნულების კვალის დასაფარად.

სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლები შეშფოთებულნი არიან იმასთან დაკავშირებით, რომ სანქციების ირგვლივ მიმდინარე მსჯელობა უმთავრესად ეხება ფინანსური სისტემების სიმტკიცეს, ხოლო ყურადღების მიღმა რჩება სავაჭრო ასპექტები, განსაკუთრებით, როცა საქმე საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას ეხება. სავაჭრო სისტემის სიმტკიცე მოითხოვს ექსპორტის კონტროლის შესაძლებლობასა და ვაჭრობის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფას, რაც, თავის მხრივ, ემყარება გამართულ საბაჟო კომუნიკაციის არხებს ექსპორტისა და იმპორტის ქვეყნებს შორის და ასევე, მიწოდების ჯაჭვის მონიტორინგის შესაძლებლობას. ეს სისტემა დამოკიდებულია იმ ინფორმაციაზე, რომელიც კერძო სექტორიდან მომდინარეობს, მაგრამ ბიზნესებს არ გააჩნიათ საკმარისი შესაძლებლობები, რომ განსაზღვრონ და ამოარჩიონ ყველა ის ინფორმაცია, რომელიც სანქციებს უკავშირდება და შესაბამისად, მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია შესაძლებელია არასრული იყოს. ეს განსაკუთრებით ეხება არაფინანსურ სექტორს, რომელიც, მონაწილეების თქმით, გამოუცდელია სანქციების აღსრულების საკითხებში. კერძო სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ხელისუფლებასთან არ გამართულა რაიმე შეხვედრა, რომელიც შეეხებოდა მათ დახმარებას სანქციების იმპლემენტაციის პროცესში, თუმცა, ისიც აღინიშნა, რომ პოზიტიური სექტორთაშორიში ურთიერთობების წყალობით, კომპანიებს შეუძლიათ თავისუფლად და საჭიროებისამებრ მიმართონ სახელისუფლებო უწყებებს დახმარებისა და ტრენინგისთვის.

შიდა კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, საქართველომ მიიღო დახმარება, როგორც ტექნიკური, ასევე სხვა შესაძლებლობების განვითრების მიმართულებით, ევროკავშირის სხვადასხვა წევრი ქვეყნისგან. ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის 8 ნოემბრისთვის, საქართველოში გაჩერებული იქნა 2.970 კონტეინერი, ხოლო 1,683 კომპანიას უარი ეთქვა იმ ოპერაციების განხორციელებაზე, რომლებიც უკავშირდება სანქცირებულ საქონელსა და სერვისებს. საქართველო პატარა ქვეყანაა და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ხსენებული მონაცემები წარმატებაზე მიუთითებს. თუმცა, ისინი უკმაყოფლოები არიან იმ დროის გამო, რომელიც ევროკავშირსა და აშშ-ს სჭირდებათ საზღვარზე გაჩერებული სატვირთო მანქანების საკითხის გადასაწყვეტად.

მრგვალი მაგიდის დისკუსიაში მონაწილე საჯარო სექტორის წარმომადგენლებმა ასევე ისაუბრეს იმ წუხილზე, რომელსაც საერთაშორისო პარტნიორები გამოხატავენ რუსული უსაფრთხოების სამსახურების მიერ მესამე ქვეყნებში ყალბი კომპანიების დაარსებასთან დაკავშირებით. ამჟამად, მიმდინარეობს

გამოძიება რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელშეწყობით განხორციელებული სანქციების გვერდის ავლის სქემებთან დაკავშირებით.

საქართველოდან რუსეთის მიმართულებით სახმელეთო ექსპორტის ნაკადები, რომლებიც, ზოგი მონაწილის მოსაზრებით გართულებულია ირანსა და რუსეთს შორის ჩრდილო-სამხრეთის სავაჭრო კორიდორის განვითარების გამო, კვლავაც იქცევს საერთაშორისო ყურადღებას. თუმცა, საქართველოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები უფრო დიდ შეშფოთებას გამოხატავენ კიდევ ერთ სერიოზულ გამოწვევაზე - საზღვაო ტრანსპორტის კონტროლზე, რომელიც, ჯერჯერობით, ვერ სარგებლობს სათანადო ყურადღებით.

საზღვაო ვაჭრობასთან დაკავშირებული გამოწვევები

საქართველოსთვის სახმელეთო ვაჭრობის მონიტორინგი კომპლექსური და რესურსტევადი ძალისხმევაა. რუსეთთან საზღვარზე სატვირთო მანქანებში განთავსებული აკრძალული საქონლის ამოცნობა და პროდუქციის საბოლოო მომხმარებლის იდენტიფიცირება, საკმაოდ რთული საქმეა. ამას გარდა, საქართველოს გასასვლელი აქვს შავ ზღვაზე და შესაბამისად, არანაკლებ გამოწვევას წარმოადგენს მის პორტებში შემავალი და გამავალი საქონლის მონიტორინგი.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო ახორციელებს გემების და მათი ტვირთის მონიტორინგს სანქციების გვერდის ავლის პრევენციის მიზნით. სააგენტოს წარმომადგენლები საუბრობენ იმ გამოწვევაზე, რომელიც მცირე ზომის საზღვაო ხომალდის ინსპექტირების ექვს საათიან ფანჯარას უკავშირდება. შესაბამისმა უწყებებმა ამ დროის ფარგლებში უნდა იმოქმედონ. აქედან გამომდინარე საჭირო პასუხების დაგვიანებით მოპოვება ხომალდის ფაქტობრივი მეპატრონისგან შეიძლება პრობლემატური იყოს.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, 2022 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, რამდენიმე კომპანიამ გამოთქვა სურვილი ეცურა საქართველოს დროშის ქვეშ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კომპანიები რუსეთში იყვნენ რეგისტრირებულები და ამიტომ საქართველომ არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა. თუმცა, ყველაზე დიდი გამოწვევა, რომელიც სააგენტოს წინაშე დგას, უკავშირდება არაპარტნიორი იურისდიქციების ხომალდების ყოფნას საქართველოს პორტებში. საქართველოს შესაბამისი უწყება ცდილობს დაუკავშირდეს ფაქტობრივ მფლობელებს ამ ქვეყნებში, განსაკუთრებით, კარიბის ზღვის აუზში ბრიტანეთის ზღვისიქითა ტერიტორიებში, თუმცა, ხშირად, კონტაქტის დამყარების ეს მცდელობები უშედეგოდ მთავრდება.

საქართველოს წინაშე ასევე დგას განსაკუთრებული გამოწვევა, რაც უკავშირდება საზღვაო ვაჭრობას რუსეთის მიერ კონტროლირებული ოკუპირებული აფხაზეთის

პორტებში. საქართველო ახორციელებს ვაჭრობის მონიტორინგს ამ პორტებში, თუმცა, მათზე კონტროლს ვერ ამყარებს. შესაბამის უწყებებს შეუძლიათ მოახდინონ აფხაზეთში იმ ხომალდების იდენტიფიცირება, რომელთა ფაქტობრივი მფლობელების ვინაობა ეჭვს იწვევს და ასევე, დაკავშირებულები არიან ოფშორულ იურისდიქციებთან, და საერთაშორისო პარტნიორებს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია. უწყებების წარმომადგენლებმა აღწერეს, თუ როგორ ხდება რუსეთიდან აფხაზეთის და შემდეგ თურქეთის მიმართულებით ხომალდების გადაადგილება მათი წარმომავლობის დაფარვის მიზნით. თურქეთის პორტებში მათ შეუძლიათ მიიღონ საჭირო დოკუმენტები ევროკავშირის პორტებში შესასვლელად და შესაბამისად, სანქციების გვერდის ასავლელად. საქართველოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებიდან მხარდაჭერის სიმცირეზე, რომელსაც ქვეყანა ამ მიმართულებით იღებს, რაც ეხმიანება ზოგად იმედგაცრუებას საერთაშორისო ვაჭრობაზე სანქციების განხორციელებასთან დაკავშირებით.

საქართველოში რუსეთის მოქალაქეებისა და რუსული კაპიტალის შემოდინების გავლენა

სამუშაო შეხვედრის ბოლო საკითხად მონაწილეებმა წამოჭრეს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული გამოწვევა და მის შედეგად ქვეყანაში რუსეთის მოქალაქეებისა და რუსული კაპიტალის შემოდინების საკითხი. მათ აღნიშნეს, რომ საქართველო ეკონომიკურ სარგებელს იღებს რუსეთის მოქალაქეების შემოდინების შედეგად, რომლებიც ქვეყანაში ახალ ბიზნესებს ქმნიან. ასევე გაიზარდა ტურიზმის სექტორის შემოსავლები. რუსეთის მოქალაქეები აქტიურობენ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, განსაკუთრებით კი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. თუმცა, შეხვედრის მონაწილეები ასევე თანხმდებიან, რომ ეს გარემოება საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას. უძრავი ქონების ფასები საქართველოში გაორმაგდა, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიების ინდუსტრია განსაკუთრებულ რისკებს ქმნის, მეტადრე სანქციების ფონზე, რადგან იმ სერვისების მიწოდება, რომლებიც არძალულია ევროკავშირის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ახლა საქართველოდან ხდება.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ეკონომიკური სექტორები ვითარდება და დოვლათს ქმნის ქვეყანაში, მონაწილეები შეშფოთებას გამოთქვამდნენ შესაძლო უარყოფით გავლენასთან დაკავშირებით, რაც ქვეყნიდან მათ სწრაფ გასვლას შეიძლება მოჰყვეს საქართველოს ეკონომიკისთვის თუ, ომის დასრულებისთანავე ეს ბიზნესკომპანიები ამχობინებენ ქვეყნის დაუყოვნებლივ დატოვებას. უფრო მეტიც, მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს, რომ ეს კომპანიები კონკურენციას უწევენ არსებულ ქართულ კომპანიებს, რაც გავლენას ახდენს ბიზნესშესაძლებლობებსა და/ან რეკრუტირებაზე. კიდევ ერთი საინტერესო

დაკვირვება, რაც რუსულ ტურიზმს უკავშირდება ისაა, რომ რუსეთის მოქალაქეები აფუძნებენ კომპანიებს, რომლებიც გიდების მომსახურებას სთავაზობს ტურისტებს. სამუშაო შეხვედრის მონაწილეები შიშობენ, რომ ამ სერვისს რუსეთის ხელისუფლება საკუთარი პროპაგანდის გასავრცელებლად იყენებს.

რუსეთის ფაქტორი ქვეყანაში განხეთქილების წყაროა, რაც, მონაწილეების აზრით, კიდევ უფრო მძაფრდება დეზინფორმაციით. პრორუსული მედია ავრცელებს ნარატივს რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების არაეფექტიანობისა და მასანქცირებელი ქვეყნის მოსახლეობაზე მათი უარყოფითი გავლენის შესახებ,[19] ხოლო ოპოზიციურად განწყობილი მედია აქტიურად აშუქებს ყოფილ პროკურორთან დაკავშირებულ, ზემოთ ნახსენებ სკანდალს. ქართული მედია ასევე ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ქართული ეკონომიკა რუსეთთან ვაჭრობასა და რუსული საქონლისა და ტურისტების შემოდინებაზეა დამოკიდებული. ამგვარი დამოკიდებულება კიდევ უფრო მყარდება ევროკავშირთან ვაჭრობის დაბალი მაჩვენებლების ფონზე. მონაწილეები არ დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას და დაამატეს, რომ ეკონომიკური კავშირები რუსეთთან არ არის გადამწყვეტი იმ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის, რომელმაც რუსეთთან ომი გადაიტანა. თუმცა, ამავდროულად, მონაწილეები იზიარებდნენ იმ წუხილს, რაც საქართველოს კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე რუსეთის გავლენას უკავშირდება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობამ არჩია არ შეერთებოდა სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. ეროვნულმა საკანონმდებლო ჩარჩომ საშუალება მისცა ქვეყნის ხელისუფლებას მიეღო საეჭვო გადაწყვეტილებები (მაგალითად, ფარცხალაძისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საქმე). თუმცა, ახლახანს გამართულ სამუშაო შეხვედრაზე როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ასახავს საქართველოს ხელისუფლების იმ მცდელობებს, რომლებიც მიზნად ისახავს სანქციების გვერდის ავლის პრევენციას მისი იურისდიქციის ფარგლებში. ამ პროცესში საქართველოს ხელისუფლება იზიარებს იმ გამოწვევებს, რომლებიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების წინაშე დგას. ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა გაიზიარეს, რომლებიც ემსახურება საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერებას რუსეთის მიერ მის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შესაბამისი ელემენტების გვერდის ავლის პრევენციას:

19. ნინო ჩიჩუა, „ვინ და როგორ ავრცელებს კრემლის დეზინფორმაციას უკრაინის წინააღდეგ - კვლევა“, *ნეტგაზეთი*, 27 მაისი 2022, < https://netgazeti.ge/news/612725/>, ბოლოს ნანახია: 11 დეკემბერი 2023; ალტ-ინფო, „ანალენა ბერბოკი - ეკნომომიკურ სანქციებს უნდა ჰქონდეს ეკონომიკური ეფექტი, მაგრამ ეს ასე არაა“, 23 აგვისტო 2023, <https://alt-info.ge/archives/36474>, ბოლოს ნანახია: 11 დეკემბერი 2023.

1. **მთავრობაში სანქციების საკითხზე მომუშავე შესაბამისი უწყების შექმნა**. მიუხედავად იმისა, რომ სანქციების საკითხებით რამდენიმე დეპარტამენტი და სააგენტოა დაკავებული, საქართველოსთვის მნიშვნელოვნად გაადვილდება კოორდინაცია თუ დაარსდება სანქციების კოორდინაციის სამსახური ან უწყება ეროვნულ დონეზე, რომელიც, თავის მხრივ, ეფექტიანად გამოიყენებს კერძო და საჯარო სექტორში არსებულ ცოდნასა და გამოცდილებას. ამ უწყებას ასევე შეეძლებოდა გამოეკვეთა ახალი კანონმდებლობის საჭიროება ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების განხორციელების უზრუნველყოფისთვის.
2. **სავაჭრო ურთიერთობებში გამჭვირვალეობის ხელშეწყობა**. გამჭვირვალეობა გადამწყვეტია სავაჭრო ურთიერთობებში, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ფაქტობრივი მფლობელობის შესახებ მონაცემების ხარისხისა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ასევე, ინფორმაციის გაზიარების არხების გამართულ მუშაობას შესაბამისი ჩარჩოსა და გამოძიების წარმართვის უზრუნველსაყოფად.
3. **განგრძობადი საერთაშორისო მხარდაჭერა**. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლის პრევენციასთან დაკავშირებით, თუმცა, სანქციების აღმასრულებელ ყველა სხვა იურისდიქციის მსგავსად, ქვეყანას ესაჭიროება საერთაშორისო პარტნრიორების მხრიდან მნიშვნელოვანი ტექნიკური მხარდაჭერა. ევროკავშირმა და მისმა პარტნიორმა ქვეყნებმა საქართველოს სათანადო და დროული დახმარება უნდა აღმოუჩინონ სანქციების გვერდის ავლის პრვენციის ძალისხმევის მიმართულებით.
4. **საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივება.** საქართველოს ბიზნესსექტორი ევროკავშირის ხელმისაწვდომ ბაზრად უნდა აღიქვამდეს. ევროკავშირთან ვაჭრობის დაწყება არ უნდა იყოს რთული პროცესი. დაუბრკოლებელი ვაჭრობა ორ იურისდიქციას შორის ხელს შეუწყობს რუსეთისგან ჩახსნას და მეტ ძალისხმევას ევროკავშირთან ვაჭრობის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ამჟამად რუსეთთან ვაჭრობის წილი იმატებს, ხოლო ევროკავშირთან, პირიქით, იკლებს.
5. **ევროკავშირი/აშშ-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობებში ინვესტირება.** საქართვლოს რუსეთისგან ჩახსნის ხელშეწყობისთვის, ევროკავშირმა და აშშ-მა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა საქართველოში ინვესტირებისა და ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების მიმართულებით. სამუშაო შეხვედრის მონაწილეების თქმით, ქართულ ბიზნესს კარგად ესმის, რომ რუსეთი ვერ იქნება სანდო პარტნიორი, მაგრამ რუსეთთან ვაჭრობის შემცირებისთვის, მათ ესაჭიროებათ მდგრადი ალტერნატივის განსაზღვრა.

მსჯელობისას ყურადღება გამახვილდა იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა საქართველო როგორც ვაჭრობის, ასევე უსაფრთხოების მიმართულებით, როდესაც საქმე ეხება რუსეთის წინააღმდეგ სანქციების განხორციელებას.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორი მხარს უჭერს სანქციებს, ეჭვგარეშეა, რომ ქვეყანას ესაჭიროება მეტი დახმარება ვაჭრობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებთან გასამკლავებლად. ევროკავშირმა და მისმა მეკავშირეებმა უნდა დაადასტურონ, რომ კარგად ესმით ის რთული მდგომარეობა, რომელშიც საქართველო იმყოფება. რუსეთის განზრახვა რეფერენდუმის გზით მოახდინოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის ფორმალიზება, სწორედ ისე, როგორც უკრაინაში მოხდა, ნებისმიერ დროს შეიძლება გააქტიურდეს, რაც კიდევ უფრო გაზრდის დაუცველობის შეგრძნებას ქვეყნის მოსახლეობაში. საქართველო რეგიონში დასავლეთის სტრატეგიული პარტნიორია და შესაბამისად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი ეროვნული ინტერესები, განსაკუთრებით, ვაჭრობის სფეროში, რათა კიდევ უფრო ეფექტიანად შესრულდეს რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების განხორციელების ვალდებულება.

ავტორების შესახებ

გონსალო საიზი RUSI-ს ფინანსური დანაშაულებისა და უსაფრთხოების კვლევების ცენტრის მკვლევარია, რომლის პროფესიული საქმიანობის სფერო მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სანქციები და ანტიტერორისტული დაფინანსება.

ტომ კიტინგი RUSI-ს ფინანსური დანაშაულებისა და უსაფრთხოების კვლევების ცენტრის დირექტორია.